ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №95124

ნომერი: AR130826

თარიღი : 19.03.2012

გაცემის თარიღი : 26.03.2012

გაცნობის თარიღი : 28.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორისი ყაველაშვილი პ/ნ 60001124179
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 37 ბ. 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ, შპს "ბაზრობა-გაზაფხული"-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, თქვენს მიერ არ არის სწორად შერჩეული ნომენკლატურა. აღნიშნული სამუშაოებზე არ გაცემულა არანაირი ნებართვა, შესაბამისად ელექტრონული განცხადების დარეგისტრირებისას უნდა აირჩიოთ I კლასი – "აბრებისა და რეკლამების განთავსება" ქმედებებში – ახალი მშენებლობა" (კორექტირების გარეშე). რის შემდგომაც ველები – "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"–ს შევსება სავალდებულო აღარ იქნება.

.გარდა ამისა, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მოგახსენებთ შემდეგს: არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია თქვენს მიერ ატვირთული ფოტომონტაჟის მიხედვით ობიექტის შემდგომი განვითარება. საპროექტო ფასადი მეტად გადატვირთულია. შესაძლებელია განთავსდეს ფოტომონტაჟში მხოლოდ კარის თავზე მოთავსებული სარეკლამო აბრა ვერტიკალურად განთავსებული აბრების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ახალი საპროექტო ფოტომონტაის (გაბარიტული ზომების და მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით) შემუშავება და აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამის ველში ატვირთვა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge